**წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**
**ბიუროს სხდომის**

**ოქმი N 4**

**ქ. წალკა; 22.02.2024 წ.**

**სხდომას თავმჯდომარეობდა:** წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

*ირაკლი გიგინეიშვილი*

***სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:***

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე გოჩა ხაჩატურიან, წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ავთანდილ ვანაძე, წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე რადიკ სარკისიან, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე მელიტონ პაკელიანი, სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ანტარამ მელტონიან, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ლევონ მარკოსიან, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ნუგზარ ჩამურლიევი, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ჯაბა აბულაძე, ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე ჯემალ ბერიძე, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე მალხაზ მგელაძე, ფრაქცია „ერთობა წალკისთვის“ თავმჯდომარე ასლან მგელაძე.
(რეგისტრაციის სია თან ერთვის);

**სხდომა დაიწყო: 11:00 საათზე;**
**სხდომა დასრულდა: 11:20 საათზე;**

***დღის წესრიგი:***

1. წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის და ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს დასკვნები დადგენილების პროექტზე "წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

2. წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის და ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს დასკვნები დადგენილების პროექტზე „წალკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და წალკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ“;

*სხდომამ განიხილა:*

1. სხდომის თავმჯდომარემ ირაკლი გიგინეიშვილმა ბიუროს წევრებს მოახსენა, რომ ბიუროზე განსახილველად წარმოდგენილია წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის და ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს დასკვნები დადგენილების პროექტზე "წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ. რის შემდეგაც მელიტონ პაკელიანმა და ჯემალ ბერიძემ ბიუროს გააცნეს აღნიშნული კომისიის და ფრაქციის დასკვნები. ბიურომ ღია კენჭისყრით (12 მომხრე, 0 წინააღმდეგი) გადაწყვიტა: "წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N6 დადგენილებით დამტკიცებული წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 83-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად დადგენილების პროექტი "წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ შეტანილ იქნეს საკრებულოს მ/წლის 29 თებერვლის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში;

2. სხდომის თავმჯდომარემ ირაკლი გიგინეიშვილმა ბიუროს წევრებს მოახსენა, რომ ბიუროზე განსახილველად წარმოდგენილია წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის და ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს დასკვნები დადგენილების პროექტზე „წალკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და წალკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ“. რის შემდეგაც ჯაბა აბულაძემ, ლევონ მარკოსიანმა და ჯემალ ბერიძემ ბიუროს გააცნეს აღნიშნული კომისიების და ფრაქციის დასკვნები. ბიურომ ღია კენჭისყრით (12 მომხრე, 0 წინააღმდეგი) გადაწყვიტა: "წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N6 დადგენილებით დამტკიცებული წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 83-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად დადგენილების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და წალკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ“ შეტანილ იქნეს საკრებულოს მ/წლის 29 თებერვლის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში;

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

*საკრებულოს თავმჯდომარე* *ი.გიგინეიშვილი*